დამტკიცებულია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ.
სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური და
წარმომადგენლობითი საბჭოების 2017 წლის
23 იანვრის სხდომაზე # 1

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2016 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

I. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმების სრულყოფა, კონსერვატორიის განვითარება

- საანგარიშო პერიოდში უკუკავშირის მიღებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით თსკ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად იღებდა მონაწილეობას საკონსულტაციო შეხვედრებში სტუდენტთა ჯგუფებთან, აკადემიურ პერსონალთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- კონსერვატორიის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ ზამთრის და გაზაფხულის სესიების მონიტორინგში;
- პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობდა პროგრამების სრულყოფისა და სილაბუსების განახლების პროცესში (კერძოდ, განხორციელდა საბაკალავრო პროგრამის „მუსიკა და დღევანდელობა“ მოდიფიცირება).

II. საგანმანათლებლო პროგრამების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) მონიტორინგი

- საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, კურიკულუმების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწყობს შეხვედრებს ფაკულტეტების ხუს-თან და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და ერთობლივად შეიმუშავებს პროგრამის შეფასების კითხვარებს, რომელიც ივსება პროგრამის შესაბამისი სპეციალობის სტუდენტების მიერ;

- ანკეტირების შედეგად მოწმდება: პროგრამის სისრულე, მისი შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, აკადემიური პერსონალის რაოდენობა და კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა, დასაქმების სფეროს რეალურობა, პროგრამაში შემავალი სასწავლო გეგმის და სხვა კომპონენტების სრულყოფა, შერმოქმედებითი და პედაგოგიური პრაქტიკის ჩასატარებლად აუცილებელი ბაზის აღჭურვილობა და სხვ.;
- სამსახური ახდენს შევსებული ანკეტების პასუხების ანალიზს, იმართება ანალიზის შედეგების განხილვა კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ხოეციელდება რეკომენდაციების შემუშავება, განხილვა შესაბამის კათედრებზე, ფაკულტეტის საბჭოზე, საჭიროების შემთხვევაში - აკადემიურ საბჭოს სხდომაზე და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების და ხარვეზების ამოფხვრის მიზნით სამოქმედო ღონისძიებების დაგეგმვა;
- იანვარში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა „მუსიკა და დღევანდელობის“ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება. ამ მიზნისთვის განხორციელდა სტუდენტების გამოკითხვა. გამოკითხვა ჩატარდა ზეპირი (შეხვედრები სტუდენტებთან, სადაც განიხილებოდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშრებული საკითხები) და წერითი ფორმატით (მომზადდა სპეციალური კითხვარი და ჩატარდა გამოკითხვა) ;
- გამოკითხვის ანალიზის შედეგად სტუდენტების რეკომენდაციების/სურვილების გათვალისწინების და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ პროგრამის ხელმძღვანელი (რევაზ კიკნაძე), ფაკულტეტის დეკანი (მაკა ვირსალაძე), აკადემიური პერსონალის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავდა „მუსიკა და დღევანდელობის“ პროგრამაში შემავალი კონცენტრაციის („მუსიკის ტექნოლოგია“) სასწავლო გეგმის მოდიფიცირებული ვარიანტი (მოდიფიცირებული გეგმის განხილვა განხორციელდა კონსერვატორიის რექტორის სათათბიროს სხდომაზე 3 თებერვალს და დამტკიცდა აკადემიური საბჭოს სხდომაზე. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მოდიფიცირებული სასწავლო გეგმა ამოქმედდება 2016-2017 წლიდან, ხოლო 2015-2016 წლის მეორე სემესტრში მუსიკის ტექნოლოგიის სტუდენტები არჩევითი საგნების სახით გაივლიან სასწავლო კურსებს: სოლფეჯიო და სტუდიის ტექნიკა (დარგობრივი პრაქტიკის ფორმატში);
- იანვარში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა 2016 წელს ბოლო კვარტალში ჩატარებული გამოკითხვისთვის შედგენილი კითხვარების ანალიზი. გამოკითხვის ანალიზის შედეგად სტუდენტების რეკომენდაციებისა და სურვილების გათვალისწინების და პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით ჩამოყალიბდა ჯგუფი, რომელშიც

შევიდნენ პროგრამების ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანები და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტების ხარისხის სამსახურებთან ერთად ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობების შეფასების მიზნით შეიმუშავა მიზნობრივი კითხვარები და შემუშავებული კითხვარების შესაბამისად ჩაატარა გამოკითხვები.

III. პროგრამების შემუშავება, აკრედიტაცია

- ოქტომბრის თვეში კონსერვატორიისა და საშემსრულებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს სასერტიფიკატო მოკლევადიანი (ხანგრძლივობა - 4 თვე) საგანმანათლებლო პროგრამა „აკადემიური გუნდის კონცერტმაისტერი“ (დამტკიცებულია სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის სხდომაზე # 4);
- საანგარიშო პერიოდში სამსახური უცხოელი ექსპერტებთან ერთად (ოსლოს მუსიკალური აკადემია) ჩართული იყო ახალი სამაგისტრო პროგრამის „მუსიკის ტექნოლოგია“ შემუშავების პროცესში.

IV. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #3 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესში შესული ცვლილებებთან დაკავშირებით კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ფაკულტეტის სამსახურებთან, სასწავლო დეპარტამენტთან, მიმართულებების ხელმძღვანელებთან ერთად მოამზადა ცვლილებებიოს პაკეტი კონსერვატორიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. კათედრების გამგეებს დაევალათ მიმართულების შესაბამისი სასწავლო კურსების შუასემესტრული და დასკვნითი შეფასება/შემოწმების სტანდარტების კომპონენტების წილობრივი (პროცენტული ან ქულობრივი) განსაზღვრა. მოდიფიცირებული შეფასების /შემოწმების სტანდარტები დამტკიცდა კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს სხდომაზე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება # 111/ნ (2016 წელი 5 სექტემბერი) პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცებასთან დაკავშირებით, სექტემბრის პირველ

დეკადაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწავლო დეპარტამენტთან ერთად შეიმუშავა მმს პროგრამაზე ჩარიცხვის წესი, განსაზღვრა აპლიკანტთა ადგილების რაოდენობა, შეიმუშავა გამოცდის ფორმატი, რომლის საფუძველზე მოხდება აპლიკანტის ჩარიცხვა მმს პროგრამაზე და გაგზავნა ანკეტა-კითხვარის შევსებული ფორმა გამოცდების განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

- მინისტრის #3 ბრძანებაში შესული ცვლილებებთან დაკავშირებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ჩაატარა სამუშაო შეხვედრები კონსერვატორიის ყველა მიმართულების გამგეებთან, სასწავლო დეპარტამენტის, ფაკულტეტების დეკანებთან და ხარისხის სამსახურების წარმომადგენლებთან. მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა სასწავლო გეგმებში შემავალი ყველა სასწავლო კურსის შეფასების სტანდარტების ახალი ნორმატივები.

V. საერთაშორისო პროექტები

- საანგარიშო პერიოდში კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო სახ. კონსერვატორიისა და ნორვეგიის მუსიკის აკადემიის (ოსლო) ერთობლივი პროექტში - Bridging the Gap - Qualifying Music Students for a Changing Music Profession (პროექტის ნომერი CPEA-2015/10004 - 2016-2019). ხარისხის სამსახური მუშაობდა კურიკულუმის განვითარების ჯგუფში (მასწავლებლის მომზადების პროგრამის მოდერნიზაცია, სამაგისტრო პროგრამის „მუსიკის ტექნოლოგია“ შემუშავება);
- აპრილში შედგა ნორვეგიელი ექსპერტების შეხვედრა კონსერვატორიის კურიკულუმის განვითარების განვითარების ჯგუფთან (თამარ ჩხეიძე ხარიხის სამსახურის უფროსი; ლეილა მარუაშვილი ხარისხის სამსახურის უფროსის მოადგილე). დაიგეგმა პედაგოგიკის და 30/60 კრედიტიანი სასწავლო კურსების შემუშავების პერსპექტივები.

VI. სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა. კონსერვატორიის სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება

- საანგარიშო პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო Erazmus+ მობილობის ფარგლებში ევროპის სხვადასხვა პარტნიორ სასწავლებლებში გასაგზავნი (სავარაუდო სასწავლო კურსების კრედიტების ე.წ. „წინასწარი“

აღიარება;) და გაგზავნილი სტუდენტების საბუთების მომზადების/დამოწმების პროცედურაში;

- თსკ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო დეპარტამენთან და ფაკულტეტებთან ერთად მონაწილეობდა 2017 წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა და გარე მობილობის პროცესში გადმოსული სტუდენტების თსკ-სა და სხვა უსდ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების პროცედურაში.

VII. საქართველოს კულტურისა და სპორტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებისა და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

- საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტროს მოთხოვნის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულად ამზადებს და დადგენილ ვადებში აგზავნის სამინისტროში კონსერვატორიაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების მოკლევადიანი სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული და გეგმის გარეშე შესრულებული სამუშაოების კვარტალურ ანგარიშებს;

  სამსახური აწარმოებს ანგარიშების ანალიზს, ანალიზის შედეგები განიხილება შესაბამის სამსახურებში და მუშაობის სრულყოფის მიზნით ხდება რეკომენდაციების შემოთავაზება კონსერვატორიის სასწავლო და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის.

ანგარიშები აერთიანებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულების მონაცემებს:

- ✓ საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტების მიმართულებები;
- ✓ საზღვარგარეთთან ურთიერთობის დეპარტამენტი;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- ✓ სამეცნიერო კვლევების საკოორდინაციო დეპარტამენტი;
- ✓ ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი;
- ✓ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება;
- ✓ კონსერვატორიის სტუდენტური თვითმმართველობა;
- ✓ კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმი;
- ✓ კონსერვატორიის ბიბლიოთეკა;

- სამსახურმა მიიღო მონაწილეობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების განახლების პროცესის ფარგლებში მომუშავე ჯგუფის სამუშაო ღონისძიებებში, დისკუსიებსა და შეხვედრებში;

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ავტორიზაციის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშისთვის შეაგროვა კონსერვატორიის ერთეულებისგან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებებისგან, მიმართულებებისგან თვითშეფასებისათვის საჭირო ინფორმაცია, ცალკეული მონაცემები, რეკომენდაციები. მიღებული მასალების ანალიზის შედეგად მოამზადა ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიში და დადგენილ ვადებში გაგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, მიმართულებებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მოამზადა თსკ აკრედიტებული პროფესიული საგანმანათლებლო, მოქმედი საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები. დადგენილ ვადებში ანგარიშები გაიგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;
- 2016 წლის პირველ კვარტალში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ ლ. მარუაშვილმა გააგრძელა მონაწილეობა პროფესიულ კვალიფიკაციათა ხელშეწყობის პროგრამაში. 22 თებერვალს შედგა შეხვედრა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, თემა - ახალი პროფესიული სტანდარტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების პროექტების შემუშავება. 17 მარტს ჩატარდა ხელოვნების, განათლების, ჰუმანიტარული მიმართულების დარგობრივი საბჭო, რომელმაც დადებითი რეკომენდაცია მისცა ცენტრის დირექტორს მუსიკის რეპეტიტორის, პიანისტ-აკომპანიატორის პროფესიული სტანდარტისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცებასთან დაკავშირებით (პროგრამების ავტორები, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის ფასილიტატორები, კონსერვატორიის ასოც. პროფესორები ნ. ჟვანია, ლ. მარუაშვილი);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა და კონსერვატორიის აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საგნობრივი ჯგუფის „მუსიკა“ მიერ შემუშავებული 2016 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდის პროგრამის განხილვაში. მუშაობის შედეგად წამოჭრილი შენიშვნები და რეკომენდაციები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა გააცნეს პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს (შეხვედრა შედგა 2016 წ. 23 მარტს);
- პირველ კვარტალში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააგრძელა მუშაობა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ახალ ვერსიაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით 23

მარტს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შედგა შეხვედრა სახელოვნებო უმაღლესი დაწესებულებების ხუს - ის წარმომადგენლებთან ;

- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის წერილის (MES 4 16 01430433, 30/11/2016) პასუხად, რომელიც ითვალისწინებდა მოქალაქეებისათვის ეფექტური მომსახურების გაწევის მიზნით მონაცემთა ბაზის სრულყოფას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2016 წ. დეკემბერში შეიმუშავა ცირკულარი კონსერვატორიის მიერ, დაფუძნებიდან დღემდე, განხორციელებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროგრამების ხანგრძლივობის თაობაზე;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მონაწილეობდა კულტურის სამინისტროში არსებულ სახელოვნებო განათლების საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის მუშაობაში;
- კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულ რეჟიმში რეაგირებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან, საქართველოს კულტურისა და სპორტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებიდან შემოსულ კორესპონდენციაზე.

VIII. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ შეხვედრებში, კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში, მასტერკლასებში

- მომზადდა Erasmus crediti mobility program-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისათვის უცხოეთში მოპოვებელი კრედიტების წინასწარი აღიარების დოკუმენტაცია, განხორციელდა სასწავლო შეთანხმების დოკუმენტში მითითებული სასწავლო კურსების რევიზია და გაიცა რეკომენდაციები;
- 16 თებერვალს Erasmus crediti mobility program-ის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მობილობისა და კრედიტების აღიარების პროცედურების ფორმატის დასადგენად მიიღო მონაწილეობა შეხვედრაში Siena Jazz Academy – ის რექტორთან და საერთაშორისო დეპარტამენტის კოორდინატორთან ;
- 4-8 აპრილს სახ. კონსერვატორიისა და ნორვეგიის მუსიკის აკადემიის (ოსლო) ერთობლივი პროექტის - Bridging the Gap - Qualifying Music Students for a Changing Music Profession ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა ნორვეგიელთა 10 კაციანი ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში:
    - ✓ ტრენინგები წეროვანის და თბილისის 122-ე საჯარო სკოლებში

- ✓ ვორკშოპი თამაზე „მუსიკის პედაგოგიკა“
- ✓ შეხვედრა კონსერვატორიის კურიკულუმის განვითარების ჯგუთან
- ✓ შეხვედრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო გეგმების დეპარტამენტის მუსიკის ერქსპერტთან დ. ზათიაშვილთან
- ✓ ქართული მხარის ვორკშოპი „ვისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერები“;

- კონსერვატორიისა და ნორვეგიის მუსიკის აკადემიის (ოსლო) ერთობლივი პროექტი „Bridging the Gap - Qualifying Music Students for a Changing Music Profession“ - ის ფარგლებში 2016 წლის 11- 16 აპრილს საპროექტო წლის დაგეგმვის მიზნით კონსერვატორიის ხარისხის სამსახურის უფროსი თამარ ჩხეიძე იმყოფებოდა ოსლოს მუსიკალურ აკადემიაში;
- მაისში ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ჩხეიძემ მიიღო მონაწილეობა შეხვედრებში ”ევროპის საოპერო აკადემიის” (EOA) მენეჯერთან ფრანს ბრაუერთან სამომავლო გეგმების, არსებულ აკადემიაში კონსერვატორიის გაწევრიანების და ერასმუს სტრატეგიული პარტნიორობის პროექტში შეყვანის მიზნით;
- 4 ივნისს ხარიხის სამსახურის უფროსი თამარ ჩხეიძე მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო სემინარში „განვითარებაზაე ორიენტირებული ხარისხის აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქარუზრუნველყოფის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ (სომხეთი, თველო, უკრაინა, ბელარუსი), რომელიც ჩატარდა განათლების ხარისხის განვითარების ერობნული ცენტრის ინიციატივით;
- 27 ივნისს ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა შეხვედრაში გრიგის მუსიკალური აკადემიის (ბერგენი) ადმინისტრაციულ სტაფთან;
- კონსერვატორიისა და ნორვეგიის მუსიკის აკადემიის (ოსლო) ერთობლივი პროექტი „Bridging the Gap - Qualifying Music Students for a Changing Music Profession“ - ის ფარგლებში 2016 წლის 12 - 17 სექტემბერს პედაგოგიკის პროგრამების შემუშავების მიზნით კონსერვატორიის ხარისხის სამსახურის უფროსი თამარ ჩხეიძე და მისი მოადგილე ლეილა მარუაშვილი იმყოფებოდნენ სამუშაო ვიზიტით ოსლოს მუსიკალურ აკადემიაში;
- 6-7 დეკემბერს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი თამარ ჩხეიძე და მისი მოადგილე ლეილა მარუაშვილი მიიღეს მონაწილეობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაგეგმილ და ჩატარებულ კონფერენციაში „ცვლილებები უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში - განვითარებასა და შედეგზე ორიენტირებული მექანიზმების ხელშეწყობა“;
- 14-15 დეკემბერს ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა განათლების ხარისხის განვითარტების ეროვნული ცენტრის მიერ გამართულ

კონფერენციაში „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა: შედეგები და შემდეგი ნაბიჯები“;

- 16 თებერვალს Erasmus crediti mobility program-ის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მობილობისა და კრედიტების აღიარების პროცედურების ფორმატის დასადგენად მიიღო მონაწილეობა შეხვედრაში Siena Jazz Academy – ის რექტორთან და საერთაშორისო დეპარტამენტის კოორდინატორთან .

კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულად მუშაობდა ნორმატიულ დოკუმენტაციაზე, მიმდინარე რეკომენდაციებზე, ბრძანებებზე.